

ს დ ა ს უ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი



სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების
კატალოგი

სარჩევი

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა	3
მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	3
სამართლის სკოლა	10
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	10
ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლა	18
ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	18

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა “მედიცინა”

Doctoral Educational Programme „Medicine”

უმაღლესი განათლების საფეხური: დოქტორანტურა (III საფეხური)

ფართო სფერო: ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა
Health and Welfare

ვიწრო სფერო: ჯანდაცვა (Health)

დეტალური სფერო: მედიცინა (Medicine)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მედიცინის დოქტორი (PhD in Medicine)

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ნინო მეგრელიშვილი

პროგრამაზე მიღების წინაპირობა

მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს დიპლომირებული მედიკოსის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის „მედიცინის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ განსაზღვრულ საკონკურსო მოთხოვნებს.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს.

დიპლომირებული მედიკოსის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის გარდა პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება: უცხოური (ინგლისური) ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც შეიძლება დასტურდებოდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით. ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, საქართველოში ან უცხოეთში შესაბამის უცხოურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (რომლის ავთენტურობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) წარმოდგენის შემთხვევაში.

პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის წინაპირობაა მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის „მედიცინის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესარჩევი კონკურსის დაძლევა.

პროგრამის მიზანი

მედიცინის სადოქტორო პროგრამის მიზანია: მოამზადოს მედიცინის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება სწავლის და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; შესაბამისი სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება; კვლევითი და აკადემიური საქმიანობის თანამედროვე სტანდარტების დონეზე, პასუხისმგებლობის აღებით და ეთიკური ნორმების დაცვით, დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმართვის, კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების, მათი წარმოჩენისა და დასაბუთების, ახალი იდეების სინთეზის უნარი.

სადოქტორო პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის შესაბამისია. ის საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ.

პროგრამის სწავლის შედეგები

(ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)

1. ავლენს მედიცინის აქტუალურ საკითხებზე თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას;
2. ავლენს კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნას;
3. ახდენს სამედიცინო სფეროში არსებული პრობლემების ფორმულირებას და მათ მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას;
4. აყალიბებს სამედიცინო კვლევის დიზაინს, გეგმავს და ახორციელებს კვლევას, რომლის შედეგები აისახება ეროვნულ და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
5. იყენებს სამედიცინო დისციპლინების სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
6. პროგნოზირებს და ამზადებს რეკომენდაციებს სამედიცინო კვლევის შედეგების გაანალიზების, შეფასების და ინტერპრეტაციის საფუძველზე;
7. აყალიბებს დასკვნებს სწავლების მეთოდების შეპირისპირების, შეფასების და მათი ეფექტურობის დადგენის საფუძველზე;
8. ახდენს სამეცნიერო კვლევის შედეგების წარმოჩენას და დასაბუთებას პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც პროფესიულ ჯგუფებში, ისე ფართო საზოგადოების წინაშე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;
9. დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევით პროექტებს და განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლის პროცესს;
10. იღებს პასუხისმგებლობას და ეთიკის ნორმების დაცვით ახორციელებს დამოუკიდებელ, ორიგინალურ, მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევებს და კრიტიკულად აფასებს სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოს.

სადოქტორო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელია და სასწავლო კომპონენტი მოიცავს 50კრედიტს (1 კრედიტი = 30 სთ).

პროგრამის სტრუქტურა

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბება ხდება სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე. სადოქტორო პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრული და ლოგიკურად დალაგებული.

სადოქტორო პროგრამა „მედიცინა“

I სასწავლო კომპონენტი

50 კრედიტი,

სავალდებულო კომპონენტები

40 კრედიტი

- კვლევის მეთოდები 5 კრედიტი
- აკადემიური წერა 5 კრედიტი
- სწავლების თანამედროვე მეთოდები 5 კრედიტი
- მოლეკულური მედიცინა 5 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა 5 კრედიტი
- პროსპექტუსი (კვლევის პროექტი) 10 კრედიტი
- პერსონალიზებული მედიცინა 5 კრედიტი

არჩევითი კომპონენტები

10 კრედიტი

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში 5 კრედიტი
- მეცნიერების მენეჯმენტი 5 კრედიტი
- ინგლისური (დარგობრივი) ენა 5 კრედიტი
- პათოლოგიურ პროცესთა მორფო-ფუნქციური საფუძვლები (თანამედროვე ასპექტები) 5 კრედიტი

II კვლევითი კომპონენტი

- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

შენიშვნა: თუ დოქტორანტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/მოწვეული პერსონალი და ახორციელებს სასწავლო კურსს, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, თავისუფლდება სასწავლო კომპონენტი - „პროფესორის ასისტენტობიდან“. სასწავლო კომპონენტისთვის აუცილებელი კრედიტების შევსება შესაძლებელია არჩევითი სასწავლო კურსებით.

სწავლება-სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა განხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები როგორცაა: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს წერითი და ვერბალური, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, ახსნა-განმარტების, დემონსტრირების, პრეზენტაციის, დისკუსია/დებატების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, შემთხვევის ანალიზის (Case Study), გონებრივი იერიშის (Brain storming), ანალიზის, სინთეზის, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, პრაქტიკული მუშაობის მეთოდების და სხვ. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა გამოყენება მიმართულია სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, კვლევით კომპონენტში - კვლევის უნარების გამომუშავებასა და სრულყოფაზე.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 31 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ მოცემულია სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში და ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია დაცულად ჩაითვლება თუ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება შეადგენს 51 % და მეტს

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შემთხვევაში გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც შეაქვს თვალსაჩინო წვლილი სფეროს განვითარებაში)
81-90 ქულა	magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი სფეროს განვითარებაში).
71-80 ქულა	cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება/შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; შეაქვს წვლილი სფეროს განვითარებაში)
61-70 ქულა	Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; შეაქვს წვლილი დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში)
51-60	Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების

ქულა		მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს) (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; შეაქვს გარკვეული წვლილი სფეროს განვითარებაში)
41-50 ქულა	Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო).
0-40 ქულა	sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (ნაშრომი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს).

თუ დისერტაციამ დაიმსახურა „არადამაკმაყოფილებელი“ (41-50 ქულა) შეფასება დოქტორანტს ეძლევა 1 წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

არსებითი ხასიათის ხარვეზების გამო დისერტაციის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ (41-ზე ნაკლები ქულა) შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დოქტორანტურაში სწავლის პროცესში პროგრესის შეფასების მიზნით, დოქტორანტი ყოველსემესტრულად წარსდგება მედიცინის სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წინაშე ანგარიშით კვლევითი კომპონენტის შესრულების შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია გაწერილია მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის მედიცინის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში; ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

საკონტაქტო პირი: ნინო მეგრელიშვილი
სამეცნიერი კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის
ხელმძღვანელი, პროფესორი
ტელ.: (+995) 577 721 716
ელ-ფოსტა: nmegrelishvili@sdasu.edu.ge

სამართლის სკოლა

სამართლის სადოქტორო პროგრამა

Doctoral Program of Law

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა (III საფეხური)

ფართო სფერო: 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი Business, Administration and Law

ვიწრო სფერო: 042 სამართალი, Law

დეტალური სფერო: 0421 სამართალი, Law

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის დოქტორი (PhD in Law)

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა: 3 წელი

სასწავლო კომპონენტის მოცულობა: 45 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი პოლიკარპე (თემურ) მონიავა

პროფესორი გიორგი გოგიაშვილი

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა

სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებს.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მოიპოვოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულმა.

პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება:

✓ სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

✓ უცხოური (ინგლისური) ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც შეიძლება დასტურდებოდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით. ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, საქართველოში ან უცხოეთში შესაბამის უცხოურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (რომლის ავთენტურობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) წარმოდგენის შემთხვევაში.

პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამართლის სადოქტორო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის წინაპირობაა „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესარჩევი კონკურსის დაძლევა.

სადოქტორო პროგრამის მიზანი

სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზანია:

1. კვლევის თანამედროვე მეთოდებით აღჭურვილი მკვლევარის მომზადება, რომელიც შეძლებს სამართლის სფეროში არსებული გამოწვევების კომპლექსურ კვლევას მეცნიერების სხვადასხვა დარგის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით.
2. მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დამყარებული ახალი ცოდნის შექმნა სამართლის სფეროში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, რაც სამართლებრივი პრობლემების სისტემური და კრიტიკული გააზრების შესაძლებლობას იძლევა.
3. სამართლის ცალკეული დარგის მეცნიერების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის შემუშავებული სწორი და ეფექტური გადაწყვეტის პრაქტიკაში დანერგვის რეკომენდაციების შემუშავება.

4. პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპის, ასევე ეთიკის ნორმების დაცვით, როგორც საკუთარი ისე დაქვემდებარებული პირების პასუხისმგებლობის გაზიარებით, უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული კვლევების განხორციელება და განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების პროცესის წარმართვა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

1. ავლენს სამართლის კონკრეტული დარგის აქტუალურ საკითხებზე თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნას, რაც სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
2. აღწერს კომპლექსურ სამართლებრივ პრობლემებს და მის გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაზე სამართლის შესაბამისი დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.
3. კონცეპტუალურად ანალიზებს სამართლის სფეროს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ ტენდენციებსა და მიდგომებს;
4. ახდენს სამართლებრივი პრობლემის ფორმულირებას და მის მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას, რის შედეგადაც დამოუკიდებლად იღებს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის შესაფერის გადაწყვეტილებას;
5. არჩევს და იყენებს სამართლის სფეროში კონკრეტული სამეცნიერო კვლევისა და სწავლებისათვის რელევანტურ აკადემიური წერის და კვლევის მეთოდებს, რაც არა მხოლოდ დარგის სიახლეებისა და პრობლემატიკის კრიტიკულად გააზრების, არამედ მათი გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა
6. შეიმუშავებს სამართლის კონკრეტული დარგის და პრაქტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვან მეცნიერულ რეკომენდაციებსა და საკანონმდებლო ხასიათის წინადადებებს.
7. ახდენს სამეცნიერო კვლევის შედეგების (ახალი ცოდნის) გარკვევით წარმოჩენას და დასაბუთებას ზეპირი და წერილობითი ფორმით, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც პროფესიულ ჯგუფებში ისე ფართო საზოგადოების წინაშე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
8. აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით საკუთარი პასუხისმგებლობით გეგმავს და ახორციელებს ან/და ხელმძღვანელობას უწყვეს უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ კვლევებს და დამოუკიდებლად წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლების პროცესს.

9. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით ახორციელებს პრაქტიკულ შრომით საქმიანობას საკუთარი და დაქვემდებარებული პირების პასუხისმგებლობის გააზრებით.

სადოქტორო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია და სასწავლო კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს (1 კრედიტი = 25 სთ).

I. სასწავლო კომპონენტი (45 კრედიტი):

ა) სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები: 35 კრედიტი

- | | |
|--|---------|
| 1. აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები | (5 კრ) |
| 2. კვლევითი უნარების სემინარი (1) | (15 კრ) |
| 3. კვლევითი უნარების სემინარი (2) | (15 კრ) |

ბ) სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები: 10 კრედიტი

- | | |
|--|--------|
| 4. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში | (5 კრ) |
| 5. მეცნიერების მენეჯმენტი | (5 კრ) |
| 6. სწავლების თანამედროვე მეთოდები | (5 კრ) |
| 7. პროფესორის ასისტენტობა | (5 კრ) |

II. პროგრამის კვლევითი კომპონენტი

სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის სათანადო ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სადოქტორო პროგრამაში დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე.

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფორმირდება სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)თან კონსულტაციით, პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამის შინაარსს (დანართი 1).

აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების სასწავლო კომპონენტის მიზანია დოქტორანტისათვის სამეცნიერო ნაშრომის შინაარსობრივი მოთხოვნების და ტექნიკური სტანდარტების სწავლება, რაც კომბინირებულია კვლევის თანამედროვე მეთოდების სწავლებასთან. კურსი ემსახურება მკვლევარის კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის უნარის განვითარებას.

კვლევითი უნარების სემინარი (1) სემინარის თემის შერჩევა ხდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით. სემინარი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომის შემადგენელი ნაწილი. სემინარის განმავლობაში დოქტორანტი ეცნობა რელევანტურ ლიტერატურას, სემინარი დასრულდება სასემინარო ნაშრომის შესრულებით, რაც ემსახურება აკადემიური წერისა და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას. ნაშრომი ფასდება დარგობრივი კომისიის მიერ (იხ. სილაბუსი).

კვლევითი უნარების სემინარი (2) ფარგლებში ხდება დოქტორანტის კვლევის უნარების განვითარება და სადისერტაციო ნაშრომის მონახაზზე მუშაობა სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად. სემინარის განმავლობაში დოქტორანტი ეცნობა რელევანტურ ლიტერატურას, ხდება სადისერტაციო კვლევის აქცენტების განსაზღვრა. კურსი სრულდება შესრულებული ნაშრომით - პროსპექტუსით, რაც ფასდება დარგობრივი კომისიის მიერ (იხ. სილაბუსი).

არჩევითი საგნების შერჩევა ხდება სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტირებით, დოქტორანტის საჭიროებების გათვალისწინებით.

სწავლება-სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა განხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები როგორცაა: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს: წერითს და ვერბალურს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას, ახსნა-განმარტებას, დემონსტრირებას, პრეზენტაციას, დისკუსია/დებატებს, თანამშრომლობით (cooperative) სწავლებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევის ანალიზს (Case Study), გონებრივ იერიშს

(Brain storming), ანალიზს, სინთეზს, ინდუქციას, დედუქციას, ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას და სხვ. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა - გამოყენება მიმართულია სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, კვლევით კომპონენტში - კვლევის უნარების გამომუშავებასა და სრულყოფაზე.

შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 31 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ მოცემულია სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში და ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. დისერტაცია დაცულად ჩაითვლება თუ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება შეადგენს 51 ქულას და მეტს. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შემთხვევაში გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც შეაქვს თვალსაჩინო წვლილი სფეროს განვითარებაში)
81-90 ქულა	magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი სფეროს განვითარებაში).
71-80 ქულა	cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება/შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; შეაქვს წვლილი სფეროს განვითარებაში)
61-70 ქულა	Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; შეაქვს წვლილი დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში)
51-60 ქულა	Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს) (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; შეაქვს გარკვეული წვლილი სფეროს განვითარებაში)

41-50 ქულა	<i>Insufficienter</i>	არადამაკმაყოფილებელი (ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო).
0-40 ქულა	<i>sub omni canone</i>	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (ნაშრომი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს).

თუ დისერტაციამ დაიმსახურა „არადამაკმაყოფილებელი“ (41-50 ქულა) შეფასება დოქტორანტს ეძლევა 1 წლის განმავლობაში გადამუმავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

არსებითი ხასიათის ხარვეზების გამო დისერტაციის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ (41-ზე ნაკლები ქულა) შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დოქტორანტურაში სწავლის პროცესში პროგრესის შეფასების მიზნით, დოქტორანტი ყოველსემესტრულად წარსდგება სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წინაშე ანგარიშით კვლევითი კომპონენტის შესრულების შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია გაწერილია სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

საკონტაქტო პირი: ნინო გაგუა
სამართლის სკოლის დეკანი, ასისტენტ პროფესორი
ტელ.: (+995) 599 100 259
ელ-ფოსტა: gaguanino13@gmail.com

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლა

სადოქტორო პროგრამის დასახელება: ეკონომიკა (Economics)

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:	დოქტორანტურა (III საფეხური)
სწავლების ენა:	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:	აკადემიური
მიმართულება:	სოციალური მეცნიერებები
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ეკონომიკის დოქტორი PhD in Economics
სწავლის ხანგრძლივობა:	6 სემესტრი
სადოქტორო პროგრამის მოცულობა:	180 ECTS კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი:	პროფესორი დ. კვიციანი

სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს:

- არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს "საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით" დადგენილ მოთხოვნებს, აქვს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც დგინდება სერტიფიკატის წარმოდგენით ან გამოცდის ჩაბარებით. გარდა ამისა, დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი გაივლის გასაუბრებას ან ჩააბარებს გამოცდას სპეციალობაში დადგენილი თემატიკის მიხედვით;
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის თანახმად, უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროფილის მქონე პროგრამის კურსდამთავრებულს. აგრეთვე მობილობის წესით გადმოსულ პირს, რომელიც სწავლობს საქართველოს ან უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლის სადოქტორო პროგრამაზე და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

სადოქტორო პროგრამის მიზანი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერულ კვლევაზე, ეკონომიკის მეცნიერების, აზროვნებისა და ეკონომიკური სისტემების განვითარების ხელშეწყობაზე; დოქტორანტისთვის სამეცნიერო კვლევის და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბება-განვითარებაზე. სადოქტორო პროგრამის მიზნია, მისი კურსდამთავრებული ფლობდეს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნის, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სწავლისა და კვლევის ინოვაციური მეთოდებით სარგებლობის საშუალებას იძლევა; პროგრამა ხელს უწყობს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის ინტერნაციონალიზაციას, უნივერსიტეტის განათლების ევროპულ სივრცესა და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაციას, დოქტორანტთა საერთაშორისო მობილობის წახალისებას, ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრული თავისუფლების, დამოუკიდებლობის და ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაციას.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის სათანადო ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სადოქტორო პროგრამაში დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე.

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფორმირდება სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან კონსულტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას

”ეკონომიკის” სადოქტორო პროგრამა

180 კრედიტი:

I პროგრამის სასწავლო კომპონენტი

60 კრედიტი, მათ შორის:

1) სავალდებულო კომპონენტები

50 კრედიტი

• სასწავლო კურსები

45 კრედიტი

• პროფესორის ასისტენტობა (პედაგოგიური პრაქტიკა)

5 კრედიტი

2) არჩევითი კომპონენტები

10 კრედიტი

- სადოქტორო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები, მათ შორის კვლევის თემის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები

II პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სავალდებულო)

120 კრედიტი.

- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

სწავლის შედეგები

სადოქტორო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების საფუძველზე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p><i>დოქტორანტს აქვს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების გავლენით მსოფლიო ეკონომიკაში შექმნილი პრობლემებისა და მათი რეგულირების მექანიზმის, ეკონომიკური კრიზისების და გამოწვევების, მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის და ეკონომიკური ბერკეტების სიღრმისეული ცოდნა; • მსოფლიო ეკონომიკაზე მოქმედი ფაქტორების და გლობალური ეკონომიკური პრობლემების, საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესების, ეროვნული და გლობალური ეკონომიკური ტენდენციების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; • მსოფლიო ეკონომიკისა და გლობალიზაციის, ეკონომიკური პრობლემების, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტების კვლევის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე; • კვლევითი/სადოქტორო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული საკითხების, კვლევის ობიექტის სპეციფიკის, ინოვაციური ასპექტების, მეთოდების და მეთოდოლოგიის, რელევანტური უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის, იდეების და მიღწევების სიღრმისეული ცოდნის
------------------------------	--

	<p>დემონსტრირება, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);</p> <p>ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცოდნის გადაცემისა და სწავლების განხორციელების თანამედროვე მეთოდებს; • ეკონომიკური მოდელის აგებისათვის საჭირო მეთოდებს და გამოყენების ტექნოლოგიას.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><i>დოქტორანტს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების, მსოფლიო ეკონომიკაზე მოქმედი გლობალური ფაქტორების, გლობალიზაციის გავლენით წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემებისა და მაკროეკონომიკურ გარემოზე მოქმედი ფაქტორების, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის და ეკონომიკური რეგულირების მექანიზმის ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება; • ეროვნულ ეკონომიკაზე მოქმედი გარე ფაქტორების და ეროვნული ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევების, საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების, არსებული საფრთხეების, პრობლემების და ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების, საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობის არგუმენტირება და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების ინოვაციური კვლევა, დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და შესრულების ზედამხედველობა; • საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში წარმატებული ინტეგრაციის პროცესის და საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის და სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფის ოპტიმალური გზების დასახვა, მსოფლიო უახლესი ტენდენციების და ანალიტიკური მიდგომების გათვალისწინება; • ეკონომიკური კვლევის მეთოდების სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება და შემდგომი ასახვა საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; • კვლევითი/სადოქტორო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული ცოდნის გამოყენება კვლევის ობიექტის

	<p>სპეციფიკის გაცნობიერების, კვლევის ინოვაციური ასპექტების, უახლესი მეთოდების და მეთოდოლოგიის, რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის შერჩევისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრის მიზნით;</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლების თანამედროვე მეთოდების ეფექტურად გამოყენება, სასწავლო პროცესისადმი ახლებური მიდგომების შემუშავებისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა, აღნიშნული მეთოდების, აგრეთვე, დაგროვილი და სტაბილურად განახლებადი ცოდნის გამოყენებით სწავლების პროცესის სწორად დაგეგმვა და წარმართვა. • საკუთარი სადისერტაციო კვლევის პროცესში დასახული მიზნების გადაჭრისათვის ადექვატური ეკონომიკური მოდელის აგება.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p><i>დოქტორანტს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • გლობალური ეკონომიკური ტენდენციების, მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკაში არსებული პრობლემების, მიმდინარე პროცესების და ცვლილებების შესახებ ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, შეფასება და ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; • მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკაზე გარე ფაქტორების ზეგავლენის შეფასება, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სტრატეგიული პროგნოზირება, ეროვნული და გლობალური ეკონომიკური ტენდენციების ინტუიციური და ფორმალიზებული კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><i>დოქტორანტს შეუძლია:</i></p> <p>საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების, არსებული საფრთხეების, პრობლემების და ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების, მაკროეკონომიკურ გარემოზე მოქმედი ფაქტორების შესახებ, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის და ეკონომიკური რეგულირების მექანიზმის არსებულ ცოდნასთან ახალი ცოდნის ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ (ინგლისურ) ენაზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p><i>დოქტორანტს შეუძლია:</i></p> <p>ეკონომიკის მეცნიერების უახლეს მიღწევებზე, ინოვაციურ მიდგომებსა და კვლევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ეკონომიკის სფეროში ახალი იდეების და ინოვაციური მეთოდების შემუშავების, ეკონომიკურ</p>

	უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.
ღირებულებები	დოქტორანტს შეუძლია: ეკონომიკის სფეროში ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

შენიშვნა: ზემოთ მითითებული კომპეტენციები გამოხატავენ იმ მოსალოდნელ შედეგებს, რომლებიც უნდა იყოს მიღწეული ზოგადად "ეკონომიკის" სადოქტორო პროგრამის დასრულებისას. მათი დაკონკრეტება ხდება სადისერტაციო ნაშრომის თემის და შესრულებული კვლევითი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა

დოქტორანტთა ცოდნის შეფასება სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსები, პროფესორის ასისტენტობა) სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

თეორიული კურსების შეფასების მეთოდების გარდა არსებობს პრაქტიკული კურსის - სასწავლო კომპონენტის ელემენტის - პროფესორის ასისტენტობის შეფასების წესი. პროფესორის ასისტენტობა, გულისხმობს სხვადასხვა სასწავლო კურსების მსვლელობისას პროფესორის ასისტენტის მოვალეობის დროებით შესრულებას. პროფესორის ასისტენტობის შუალედური შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის ან სხვა პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტი გაუწევს ასისტენტობას. დასკვნითი შეფასება (საჯარო ლექცია) ხორციელდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ (დეტალურად იხ. ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, დანართი N 4). პროფესორის ასისტენტობის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი - 20 ქულა.

დოქტორანტთა მიღწევების/ცოდნის შეფასების სისტემა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია დაცულად ჩაითვლება თუ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება შეადგენს 51 % და მეტს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შემთხვევაში გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

- ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქულა);
- ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქულა);
- გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);
- დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს (61-70 ქულა);
- ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს (41-50 ქულა);

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (0-40 ქულა).

სადისერტაციო ნაშრომში არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – (41-50 ქულა) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) - (0 - 40 ქულა) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი:

ქეთევან ნანობაშვილი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის დეკანი, პროფესორი

ტელ.: (+995) 599 54 67 05

ელ-ფოსტა: qeti.nanobashvili@sdasu.edu.ge